

ივლისი, 2021-დეკემბერი,
2021

ივლისი, 2021-დეკემბერი,
2021

საინფორმაციო ბროშურა





Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



**Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი
- „საქართველოსა და უკრაინის
უსდ-ების როლის გაძლიერება ინდუსტრიულ
ტრანსფორმაციაში ინდუსტრიული პარადიგმა
4.0-ის მეშვეობით “
HEIn4
609939-EPP-1-2019-1-BE-EPPKA2-CBHE-JP**

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი ბელგიის, შვედეთის, პორტუგალიის, უკრაინისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების ჩართულობით ხორციელდება.

Erasmus+ - ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომელიც ახორციელებს პროექტებს განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით 2014 წლიდან.

ინსტიტუციური განვითარების პროექტები აგრძელებენ ყოფილი Tempus პროგრამის აქტივობებს, რომლებიც მიმართული იყო უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის მხარდაჭერისა და უნივერსიტეტებს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობისა და პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარებისკენ.

HEIn4 პროექტის განხორციელების ვადები:
2020 წლის 15 იანვარი-2023 წლის 14 იანვარი

პროექტის აქტივობები და კანდეშია

COVID-19 პანდემიას და მსოფლიოში არსებულ შეზღუდვებს კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროექტის მიმდინარეობაში და აქტივობების განხორციელებაში. დაგეგმილი ვიზიტების ნაცვლად კონსორციუმის წევრ უნივერსიტეტებს შორის კომუნიკაციის ერთადერთ წყაროდ კვლავ რჩება ონლაინ სივრცე.

საერთაშორისო მგზავრობის მიმართულებით შეზღუდვების მოხსნის და ევიდემიოლოგიური სიტუაციის დასტაბილურებისთანავე 2022 წლის გაზაფხულიდან იგეგმება სანციის გეგმის შესაბამისი სასწავლო/გაცნობითი სახის ვიზიტების ორგანიზება პროექტის პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებში.

**დისტანციური საკოორდინაციო
შეხვედრები**

HEIn4 პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით დაიგეგმა და შედგა რიგით მე-11 და მე-12 ონლაინ საკოორდინაციო შეხვედრები თანმიმდევრულად შემდეგ რიცხვებში:

* 25.10.2021

* 13.12.2021

საკოორდინაციო შეხვედრების ფარგლებში, პროექტის სამუშაო პაკეტების (WP) მიხედვით, გაინერა ინსტიტუციების მიერ განსახორციელებელი აქტივობები და სამოქმედო გეგმა; მოხდა ჩატარებული ვებინარების ანალიზი და მომდევნო შეხვედრების დაგეგმვა; მომზადდა ევროკომისიასთან წარსადგენი პროექტის შუალედური ანგარიში; მომზადდა პროექტის გახანგრძლივების თხოვნის ფორმა; შემუშავდა პროექტის საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია და მოხდა პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩატარებული საპასუხო აქტივობების ანალიზი; განხილულ იქნა ქართულ და უკრაინულ უნივერსიტეტებში დაარსებული მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და სამომავლო გეგმები, ასევე შეიქმნა ლაბორატორიების სპეციალური ვებ-გვერდები ქართულ-ინგლისურ და უკრაინულ-ინგლისურ ენებზე; ფინალური სახე მიეცა და კონსორციუმის წევრ უნივერსიტეტებთან გაზიარდა პროექტის ფარგლებში განსავითარებელ სამაგისტრო საფეხურის საგნები; დაიწყო მზადება HEIn4 პროექტის რიგით მეორე მსხვილი მასშტაბის ბროშურაზე, რომელიც 2022 წლის გაზაფხულზე ქართულ და უკრაინულ ენებზე გამოიცემა.

**„CASE STUDY - ქართული და უკრაინული
უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკები“**

2021 წლის მეორე ნახევარში ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კოორდინირებით და პროექტის პარტნიორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობით მომზადდა HEIn4 პროექტის პირველი ფართომასშტაბიანი პუბლიკაცია „Case Study - ქართული და ევროპული უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკები“. პუბლიკაციაში გამოქვეყნდა პროექტის პარტნიორი სამივე ქართული უნივერსიტეტის მე-4 ინდუსტრიულ რევოლუციასთან დაკავშირებული საუკეთესო პროექტებისა და პრაქტიკების ამსახველი მასალები, ასევე ინფორმაცია ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის (ბელგია), პორტოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (პორტუგალია) და სტოკჰოლმის ტექნოლოგიური სამეფო ინსტიტუტის (შვედეთი) გამოცდილებების შესახებ.

ქართულენოვანი პუბლიკაცია აერთიანებს შემდეგ საუკეთესო პრაქტიკებს:

- * „ინიციატივა 5.0 და მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
- * „ინოვაციები და მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- * „ინოვაციური პროექტები და მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- * „INCASE: ქსელით კონტროლირებადი აპლიკაციებითა და მდგრადი ინჟინერიით ინდუსტრია 4.0-სკენ“, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
- * „TIPHYS: სოციალურ ქსელზე დაფუძნებული ინდუსტრია 4.0-ის შესახებ სადოქტორო განათლება“, სტოკჰოლმის ტექნოლოგიური სამეფო ინსტიტუტი
- * „მომავლის უნივერსიტეტები - კოლაბორაციული ციფრული ცვლილება ინდუსტრიისა და განათლების ახალი სტრუქტურისაკენ“, პორტოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი

**პროექტის ფარგლებში ქართული
უნივერსიტეტების მიერ შემუშავებული
სასწავლო კურსები**

*** ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი**
„ინდუსტრიული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური
ცვლილებები“
6 კრედიტი
მაგისტრატურის საფეხური

*** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
„ინდუსტრია 4.0 ინტეგრაცია განახლება
ენერჯიებში“
5 კრედიტი
მაგისტრატურის საფეხური

*** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**
„კომპიუტერული გრაფიკა და ვიზუალიზაცია“
5 კრედიტი
ბაკალავრიატის საფეხური

„ინტელექტუალური სისტემები“
5 კრედიტი
მაგისტრატურის საფეხური
„მონაცემთა უსაფრთხოება და დაცვა“
5 კრედიტი
მაგისტრატურის საფეხური

**პროექტის ფარგლებში ქართული
უნივერსიტეტების მიერ დაარსებული
მაღალტექნოლოგიური ლაბების
სასწავლო კურსები**

*** ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი**
Power BI
SEO/Google Ads/ Google Analytics
Amazon Cloud Systems
Data Visualization

*** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
ლაბორატორიული სამუშაოები შემდეგი
მიმართულებებით:
ჰელიოსადგური მთიანი ლანდშაფტის ეფექტიანი
გამოყენებით
ლანდშაფტის ეფექტურობის კრიტერიუმები- სტატისტიკა
და შეფასებითი მონაცემები
მზის პანელები - კვანძები და კომპონენტები
მზის სადგური ორლერძიანი თრეჯერით

*** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**
3D მოდელირება და ანიმაცია



*პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.
წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების
მოსაზრებას და ევროკავშირი არ არის პასუხისმგებელი
წარმოდგენილ ინფორმაციაზე. ავტორების სტილი
დაცულია.*

